ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

ოთხშაბათი, 10 იანვარი 1918 წ.

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 40 კაპ.

ახალი ცხოვრება

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 1 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 1

შინაარსი: 1. ნ. ჟორდანიას და ს. ჯიბლაძეს [ლექსი] - ვ. რუხაძე, 2. ჩვენი დროშა—რედაქციისაგან, 3. ორი მებრძოლი; 4. პოლიტიკურ დღიურიდან - მ. ხუნდაძე, 5. ძველი და ახალი [„ორი მარქსიზმი“]—ბ. რამიშვილი, 6. შეფიცვა (ლექსი)—გენო, 7. ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი (წერილი პირველი)—მ. ხუნდაძე. 8. სადღეისო კითხვები—არ—მ.; 9. კოოპერაცია და ფედერალისტები (წერილი პირველი)—ს. მიხეილიძე, 10. მილოცვა (ლექსი)—ჯიბილა, 11. განცხ. და სხვა.

ნოე ჟორდანია.

(ორ იანვარს შეუსრულდა 50 წელი).



სილიბისტრო ჯიბლაძე.

(ორ იანვარს შეუსრულდა 60 წელს).

Библиотека имени Акад. И. Гонгадзе

ნოე ჟორდანიას და სილიბისტრო ჯიბლაძეს.

მე მინახავს იალბუზი, თმა-ჭაღარა, ცათ ასული.
დილით ადრე პირველ კოცნას რომ უგზავნის მზის ასული,
და მყისვე წინ დამდგომია მადლ-მოსილი თქვენი სახე,
განსაცდელი რომ ვერ აკრთობს, ვერც ხელსა რევს სივაგლახე.

მე მინახავს ლაჟვარდი ცა, ვარსკლავებით მოქარგული,
ისე წმინდა, მოკისკასე, ვით უმანკო ბავშვის გული,
და მყისვე წინ დამდგომია ეგ სპეტაკი თქვენი სული,
მწიკვლი რომ ვერ ეკარება, ვერც იმონებს მტრობა შური.

მე მინახავს მღელვარე ზღვა, ფაფარ-აყრილ ბობოქარი,
ზვირთი ზვირთს რომ აწყდებოდა, ირყეოდა მთა დ ბარი,
და მყისვე წინ დამდგომია საარაკო საქმე თქვენი,
სიცივის დროს-ცეცხლის მკვესი, სიბნელის დროს-შუქის მფენი!

ვ. რუხაძე.

ჩვენი დროშა.

თანამედროვე საზოგადოება კლასიური საზოგადოებაა. ეკონომიურ ნიადაგზე იგი დანაწილებულია სხვადასხვა კლასებათ, სხვადასხვა ჯგუფებათ, რომელთა შორის ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთათ ამ კლასთა შორის ანტაგონიზმი*) უფრო და უფრო ღრმავდება, მათი დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. რაც დრო გადის კაპიტალისტური საზოგადოება ორ დიდ კლასათ იყოფა: ერთის მხრით ყალიბდება ბურჟუაზია, საწარმოვო იარაღთა მესაკუთრე მეორეს მხრით — პროლეტარიატი, „თავისუფალი“ ამ იარაღებისაგან. საშუალო ნაწილები თანდათან იხრწნებიან, თავის რეალურ მნიშვნელობას ჰკარგავენ; ერთი ნაწილი მუშათა კლასში გადადის, მეორე ნაწილი კი ბურჟუაზიის რაზმს უერთდება. დღევანდელ საზოგადოებაში არსებული უსამართლობაც ამ ორ ბანაკთა ურთიერთობაში ჰპოვებს თავის უმთავრეს გამოხატულებას.

ეს უსამართლობა, სრული სიდუხჭირე თანამედროვე ცხოვრებისა დღეს ყველასათვის ადვილი დასანახავია. არსებული მდგომარეობით უკმაყოფილონი ჰგრძნობენ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, რომ ადამიანს მუდამ მონობაში დარჩენა არ ძალუძს. უნდა დაინგრეს თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება, იგი სამუდამოთ უნდა მოისპოს და მის ნანგრევებზე აღმოცენდეს თანასწორობისა და სამართლიანობის სამეფო — სოციალიზმი.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, რა გზით, რა საშუალებით? სად არის ის ძალა, რომელიც დაასამარებს მონობის სამეფოს, რომელიც ბოლოს მოუღებს ტანჯვას, წვალებას?

ძველ საზოგადოებაშიაც არსებობდენ კლასები, ჯგუფები. ეკონომიურ უთანასწორობაზე აღმოცენებული ჩაგვრა, ერთის მიერ მეორის გაყვლეფა და ამ ნიადაგზე ატეხილი ბრძოლა მაშინაც სწარმოებდა. ყველა დღევანდლამდე არსებულ საზოგადოებათა ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორიაო, ამბობენ მარქსი და ენგელსი. სოციალიზმი, საწარმოვო საშუალებათა განსაზოგადოებრივობის იდეა არ არის მხოლოდ მე-XIX საუკუნის შემოქმედების ნაყოფი.

მას შორეულ წარსულში აქვს დასაწყისი. მაგრამ ისტორიის ძველ, იდეალისტურ ფილოსოფიამ — როგორც ფრ. ენგელსი ამბობს, — არ იცოდა ეკონომიურ უთანასწორობაზე აღმოცენებული კლასთა ბრძოლა, ვინაიდან იგი არ იცნობდა საერთოდ ეკონომიურ უთანასწორობას. ძველი სოციალისტები კმაყოფილდებოდენ არსებული წყობილების გაკრიტიკებით, ისი უარყოფით და უკეთესი საზოგადოებრივი ფორმაციის**) დასახვით. მე-XIX საუკუნის დასაწყისის უტოპისტი სოციალისტები ფიქრობდენ კეთილ სურვილებით, მოწოდებებით და შთაგონებით განეხორციელებიათ სოციალიზმი. ისინი ცდილობდენ მშრომელი მასსის, ჩაგრული კლასის განთავისუფლებას ამ კლასის დაუხმარებლათ. მათი გეგმით მშრომელი მასსა არ იღებდა მონაწილეობას სოციალიზმისათვის ბრძოლაში. არსებითათ ასეთივე იყო ბლანკისტების მოქმედება. ისინიც მუშათა კლასის, ფართო მასის მონაწილეობის გარეშე სცდილობდენ სოციალიზმის განხორციელებას. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ბლანკისტები აჯანყებით, შეიარაღებული გამოსვლებით ფიქრობდენ კაპიტალისტური წყობილების დამხობას და თავის მიზნის მიღწევას. უტოპისტები კი მშვიდობიანის გზით, მეფეებისა და კაპიტალისტებისადმი მოწოდებებით ცდილობდენ დასახულ მიზნის განხორციელებას.

ცხადია, ვერც ერთი, ვერც მეორე მოძღვრება მიზანს ვერ მიაღწევდა, ვინაიდან, როგორც ვთქვით, არ კმარა უსამართლობის მარტო დანახვა, მისი აღიარება ან უარყოფა. საჭიროა ამ უსამართლობის აღსნა, გაგება, საჭიროა მისი წარმომშობი მიზეზების გამონახვა. სოციალიზმის განსახორციელებლათ მარტო სურვილი არ კმარა, კაპიტალიზმის უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დამარცხებას, მის განადგურებას. საჭიროა მისი რაობის გაგება, ახსნა, საჭიროა კაპიტალისტური წარმოების ისტორიული მნიშვნელობის დაფასება, ისტორიულ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მისი აუცილებლობის დამტკიცება და მისი სიშიში არსებულ წინააღმდეგობათა გამოაშკარავება.

*) ანტაგონიზმი ნიშნავს განხეთქილებას, შეუთანხმებლობას, ურთიერთ წინააღმდეგ ბრძოლას.

**) ფორმაცია — წყობილება.

ასეთი ახსნა კაპიტალისტურ წყობილებისა და მისი წარმომშობი მიზეზების ანალიზი მოგვცა ჩვენ კარლ მარქსმა მე-XIX საუკუნის ნახევარში. კაცობრიობის ისტორიის შესწავლამ, ერთი საზოგადოებრივ ფორმაციის მეორე საზოგადოებრივ წყობილებით შეცვლის მიზეზთა დაკვირვებით განხილვამ მარქსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ისტორიას ამოძრავებს ობიექტიურ პირობებიდან გამომდინარე რკინის კანონები, რომელთა შეცვლა ან გაუქმება არ არის დამოკიდებული ადამიანთა სურვილებზე. ეკონომიური ურთიერთობა, ეკონომიური ინტერესები—აი საფუძველი ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენისა, აი რა ამოძრავებს ისტორიის ჩარხს. ეკონომიური პირობები იწვევდა ერთი საზოგადოებრივ წყობილების მეორე საზოგადოებრივ წყობილებით შეცვლას. ძველი საზოგადოება თვით ატარებს ახალი საზოგადოების ჩანასახს. კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებაშიც იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც გამოიწვევენ მის დამხობას და სოციალიზმის დამყარებას. ეს ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელი იყო ფეოდალიზმის დამხობა და მის ნანგრევებზე კაპიტალიზმის აღორძინება. ამ აუცილებლობას ასაბუთებს მარქსის და ენგელსის მოძღვრება. ამიერიდან სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია, როგორც კლასთა შორის არსებულ ანტაგონიზმის გამოხატულება, მეცნიერებათ იქცა. მუშათა კლასის საბოლოო მიზანი მეცნიერულათ არის დასაბუთებული ისტორიის განვითარების მატერიალისტურათ ახსნით.

სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობის შეგნება, გაგება და გათვალისწინება იმ გზის, რომლითაც ვითარდება თანამედროვე ცხოვრება, კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგობათა გამოაშკარავება—აი რა შეადგენს ჩვენი დროის მთავარ დანიშნულებას.

მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. ამ შეგნების მასსაში გადატანა, მეცნიერული სოციალიზმის იდეების შეთვისება — გავრცელება, პროლეტარიატის დროშის ქვეშ ახალგაზრდობის დარაზმვა—აი ჩვენი დროშა, აი ჩვენი გზა. ჩვენ ვიცით, რომ ცოდნა—ძალაა, იგი, როგორც პარქსი ამბობს, თვით იქცევა ფიზიკურ ძალათ, როცა მასსისათვის ხელმისაწდომი ხდება. ამიტომ ჩვენი ჟურნალი შეეცდება ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის თეორიულათ მომზადებას, რომ შესაფერი ცოდნით აღჭურვილი მებრძოლნი მისცეს მომავალ ცხოვრებას.

მეორეს მხრით, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით დღეს მხოლოდ მეცნიერული მუშაობით. ახალგაზრდობა მთელის თავის ძალღონით, სიხალისითა და გატაცებით უნდა გადაეშვას საზოგადოებრივ მოძრაობის ტალღებში, მონაწილეობა მიიღოს დღევანდელ ბრძოლაში, თავის მედგარი ხმა მიაწვდინოს უფროს ამხანაგებს. ამიტომ ჩვენი ჟურნალი დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე დიდ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მიმდინარე კითხვებს, რომელთა ახსნა-განმარტების დროს იხელმძღვანელებს პროლეტარული თვალსაზრისით.

ამ ნიადაგზე ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა სხვა ჯგუფებთან, სხვა მიმართულების ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან. ამ ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებთ ახალგაზდურის სიმტკიცით, ახალგაზდურის გულწრფელობით. „ახალი კვალი“ განაგრძობს ძველი „კვალი“-ს გზას, „ახალი კვალი“ არ უღალატებს ძველი „კვალი“-ს ტრადიციებს.**) ჩვენ სიამოვნებით და აღტაცებით ვიგონებთ იმ ბრძოლას, რომელიც „კვალი“-ს გარშემო შემოკრებულ ჯგუფმა გაუმართა ჩვენებურ ნაციონალისტებს.

ჩვენ ვიცით ამ ბრძოლის შედეგი, ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა დათავდა ნაციონალისტების სრული დამარცხებით, ჩვენი იდეების სიძლიერისა და ცხოველმყოფელობის გამოაშკარავებით.

ჩვენ ვვწამს, რომ „ახალი კვალი“-ს დროშის ქვეშ დაირაზმება ბრძოლის ჟინით გატაცებული ახალგაზრდობა, ვისაც ბრძოლის ცეცხლი უღვივის გულში, ვისაც მიზნათ დაუსახავს პროლეტარიატისა და მასთან ერთად კაცობრიობის განთავისუფლება.

ეს რწმენა, ეს იმედი გვამხნევებს ჩვენ საბრძოლველათ და ფრთებს ასხამს ჩვენს აღტაცებას.

მაშ, წინ, მედგრათ, ამხანაგებო! შემოკრებეთ „ახალი კვალი“-ს დროშის ქვეშ და ახალგაზრდურის გატაცებით, სიხალისით, ენერგიითა და სიმტკიცით პროლეტარიატთან ერთათ ვეკვეთოთ თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობას, უსამართლობას, პროლეთარიატთან ერთათ ვიბრძოლოთ კაპიტალისტურ წყობილების გასანადგურებლათ და მის ნანგრევებზე სოციალიზმის დასამყარებლათ!

**) ტრადიცია—ზნე-ჩვეულება.

ორი მებრძოლი.

იანვრის ორს ერთს შეუსრულდა სამოცი წელი, მეორეს კი ორმოცდაათი.

სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია!

ეს ორი სახელი განუყოფელია ქართველ და საერთოდ ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ მოძრაობასთან, მათი კავშირი სისხლითა და ტანჯვით არის გამაგრებული, და ტანჯვა ხომ ყველაზედ უფრო მძლავრათ აკავშირებს!..

ბევრს ეუბნება ეს ორი სახელი ძველ რევოლიუციონერის გულს, ბევრს ეუბნება ჩვენს ახალგაზრდულ, ჯერ გადუშლელ ენერგიით სავსე სულისკვეთებასაც...

ჩვენ, მარქსისტები, არ ვაღმერთებთ პიროვნებას. ჩვენ ვიცით მისი ძალა ისტორიაში, ჩვენ ვიცით უმთავრესი გმირი მასაა და პიროვნება მასში ჰკრეფს თავის შემოქმედების ძალებს, მაგრამ... ჩვენ ამისთვის უფრო ვაფასებთ მას; პირად ღირსების გარდა ჩვენ გვიყვარს ძლიერს პიროვნებაში მასის ძალ-ღონის და შინაგან ენერგიის განსახიერება; მასა თავისივე ძალის თავმოყრას, ძლიერებას ჰხედავს მათში... არის ბუნების მეტყველებაში ჰიპოტეზა*) რომ ყოველი ჩანასახის განვითარება მინიატიურაში*) გამოჰხატავს კაცობრიობის ვრცელს ისტორიულს მსვლელობას... ჩვენ ვიტყვით, ძლიერი პიროვნებაც ერთგვარი მინიატიურაა მასიურ რევოლიუციონურ მსვლელობისა; იგი ხშირათ პიროადულათ ანსახიერებს ამ მსვლელობას, ან მის რომელიმე დამახასიათებელ მხარეს... ამ მხრივ სილ. ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია კიდევ უფრო საყვარელია ჩვენი დემოკრატიისათვის.

სილიბისტრო მორალური სახეა ჩვენ მუშათა მოძრაობისა: ფაქიზი, ნაზი, წმიდა, მოსიყვარულე, და ამასთან დაუდგ
მელი, უშიშარი მებრძოლი, მარადი ძოძრაობა და ენერგია—ვით თვით სული პროლეტარულ' მოძრაობისა. ვინც მას კარგათ არ იცნობს, მისთვის შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს: მას არა აქვს გარ განი ბწყინვალება; ვინც კარგათ არ იცის ვინ არის ის, ვერ დააფასებს მის მნიშვნელობას: სილიბისტრო ჩუმი მებრძოლია; მაგრამ ყოველი ჩვენგანი გრძნობს მის მორალურ სიძლიერეს, ყოველი ჩვენგანი სცნობს მას მუშათა კლასის სინიდისის განსახიერებათ;—ამ შემთხვევაში იგი თავის პირადობას სცილდება და სიმბოლოთ ჰხდება მუშათა მოძრაობისა...

ჩოჩხათში, ეგ. ნინოშვილის საფლავზე სილიბისტრომ პირველათ სთქვა საპროგრამო სიტყვა მესამე დასისა... მაშინ ი!ინი ცოტანი იყვნენ, მხოლოდ შორს, გულის სიღრმეში ჰღვიოდა ცეცხლი იმედისა...

მას შემდეგ უზომო ტანჯვა და წვალება... ბრძოლა, გამარჯვება, დამარცხება... ისევ ბრძოლა... ცივი ნესტიანი სატუსაღო... შავი წერტილები... აი ეკლიანი გზა მათი ცხოვრებისა...

ხუთს მარტს, ოცდასამი წლის შემდეგ, მან სიამაყით გადაჰხედა პატარა ჯგუფს კი არა, არამედ ზღვა ხალხს გამარჯვებათ აღტაცებულს... ნიავი უბერავდა და მის ჰაღარა, უკან გადაყრილ თმებს ჰაერში ნაზათ აფრიალებდა... „совершилось“—გაისმა ქართულ აქცენტით, აკანკალებული ხმით ნათქვამი პირველი სიტყვა... „აღსრულდა“... ვინც არ იცნობდა სილიბისტროს—იგი ვერ იგრძნობდა იმ სიტყვის შინაგან სიძლიერეს; მისი სახით ნაწვალები, ნატანჯი მუშათა კლასი დღესასწაულობდა პირველ გამარჯვებას!..

ასეთია სილიბისტრო ჯიბლაძე!..

ნოე ჭკუა-გონება არის ჩვენ მუშათა მოძრაობისა... საღი, მჭრელი, ნათელი და ყოველგვარ მისტიურობას, ფეტიშიზმს მოკლებული. მისი სიტყვა სხარტულია, მარდათ მოკვეთილი და ჩამოქანდაკებული—ნოეს ლაპარაკი სიტყვათ ქცეული ქანდაკებაა; იგი ბრძენის სიტყვებია - აფორიზმებათ, სქემატიურათ წარმოთქმული. იგი უბრალოთ, მარტივათ ლაპარაკობს და ამ სიმარტივესაც თავისი სილამაზე შეაქვს მის სიტყვებში; ეს ფორმა შინაარსს თავის სიძლიერეს და სიმტკიცეს აძლევს. ჰგრძნობ: ნაცადი, ბრძოლაში გამოკვეთილი ნაფიქრ-ნაგრძნობი გადაგეშალათ წინ; ჰგრძნობ, რომ შეგიძლია უშიშრათ მიენდო ამ მახვილ გონებას, უშიშრათ გაუსწორო თვალი მის ნათელ, მოლიმარე თვალებს...

ნოე მარდათ ერკვევა ყოველგვარ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში, იგი ნამდვილს ცხოვრების გეზს ძნელათ თუ ასცდება; თავისი პო-

*) ჰიპოტეზა ნიშნავს ჯერ მეცნიერების მიერ დაუმტკიცებელს საეგებიო მოსაზრებას.

**) მინიატიურა—შემცირებული, პატარა მხატვრობა.

ლიტიკური გაწრთვნით ღირსეული ტოლია ევროპის სოც.-დემოკრატიის ლიდერებისა.

ნოე საუკეთესო თეორეთიკოსი და ორგანიზატორია. . მისი სიტყვა, მტრის თავზარ დამცემი, დაუღალავათ თან სდევს რევოლიუციონურს მოძრაობას ჩვენში; მისი მოქმედება დაკავშირებულია ამ მოძრაობის ყველა სასიცოცხლო ძარღვებთან. ნოემ თავის მძლავრ ფრთებ ქვეშ გამოზარდა ორი თაობა ჩვენი დემოკრატიის მოწინავე მებრძოლთა, რომელთა სახელნი დაამშვენებენ არა მარტო ჩვენს რევოლიუციონურს ისტორიას, არამედ რუსეთის რევოლიუციას და საერთაშორისო მუშათა მოძრაობასაც. იმედია ეგი სოც.-დემოკრატიის მესამე თაობასაც აღზრდის და არ ააცდენს ნამდვილს მარქსისტულ გზას.

ასეთია ნოე ჟორდანია!

ასეთი არის ორი მებრძოლი მუშათა მოძრაობისა და ამისთვის ასე უყვარს ისინი მუშათა კლასს და საერთოდ დემოკრატიას: მუშები თავის წმინდა ზრახვებს, მჩქეფარე ფსიხიკას და მახვილ გონებას ჰგრძნობენ მათში... რაღაც განგებამ ეს ორი სახელი, სიმბოლო ჩვენ მუშათა მოძრაობისა, ასე ლამაზათ ერთს და იმავე დღეს, იანვრის ორს დაუკავშირა. ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს ამ ბრწყინვალე დღის მნიშვნელობას.

ჩვენი ახალგაზდური სალამი საყვარელ მასწავლებლებს!..

პოლიტიკურ დღიურიდან.

სად არის დემოკრატია?

ჩვენ პარტიას სოციალ-დემოკრატიას იმიტომ უწოდებდენ, რომ მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარი პრინციპი შემდეგ დებულებაში გამოიხატებოდა—კაცობრიობა მიაღწევს სოციალისტურ წესწყობილებას მხოლოდ დემოკრატიის საშვალებით. სრული პოლიტიკური თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო საარჩევნო უფლებით—ეი ჩვენი პარტიის უპირველესი მოთხოვნილება. ამ გზას ადგა ყოველი სოციალისტური პარტია, როგორც რუსეთში, ისე ევროპაში. ბრძოლა დემოკრატიულ იდეის გამარჯვებისთვის შეადგენდა სოციალისტურ მოძრაობის უმთავრეს შინაარსს უკანასკნელ დროს. სოციალისტებს ერთი მხრით ებრძოდენ გაბატონებულ კლასთა წარმომადგენელნი, რომელნიც დემოკრატიაში თავის პოლიტიკურ ბატონობის გამანადგურებელ ძალას ხედავდენ. მეორე მხრით, დემოკრატიის იდეას სასტიკ ომს უცხადებდენ ანარქისტები. ამათი იდეალი არის—პიროვნების სრული დამოუკიდებლობა, მისი პირადი თავისუფლება. დემოკრატია კი—ხალხის უმრავლესობის ბატონობას მოასწავებს. უმცირესობა და მასთან ერთათ პიროვნება, რა თქმა უნდა, ემორჩილება განსაზღვრულ წესს. ანარქისტებს ეს არ მოსწონთ და გაიძახიან: „დემოკრატია იგივე თვითმპყრობელობაა, ძირს დემოკრატია, გაუმარჯოს ანარქიასო“. საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში საღ სოციალ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა. პროლეტარიატის ბელადები, ჩვენი საუკეთესო მასწავლებლები და ამხანაგები, იბრძოდენ დემოკრატიზმისათვის, ბევრმა მათგანმა შეალია ამ ბრძოლას მთელი თავისი სიცოცხლე. ასეთ მოძრაობას ბრწყინვალე შედეგები მოყვა. დემოკრატიის იდეა, პატივისცემა მოქალაქის პოლიტიკურ თავისუფლებისადმი ღრმათ შეითვისა ხალხმა. ეს იდეა თან და თან ხორციელდება ევროპაში. რუსეთში პირველი დიდი გამარჯვება დემოკრატიისა ჩვენ ვნახეთ 1905 წელს. მაგრამ ხალხმა სისხლით მოპოებული უფლებანი ვერ შეინარჩუნა. იგი ჯერ კიდევ სუსტი აღმოჩნდა. 1905 წლის მოძრაობას რეაქციის შავი ღრუბლები ამოეფარა. თებერვლის დიდმა რევოლიუციამ თვითმპყრობელობის ბორკილები მთლათ დაამსხვრია; მის ნანგრევებზე აღიმართა წითელი დროშა დემოკრატიისა და თავისუფლებისა.

მე მახსოვს პეტროგრადის მუშათა საბჭოს ერთი სხდომა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. თურშე ვიბორგის მხარეზე შეუგნებელი ბრბო მივარდნილა შეგაზეთესთან, წაურთმევია და ნაფლეთ-ნაფლეთათ უქცევია ბურჟუაზიული გაზეთები: „არ გაბედოთ არა-სოციალისტური გაზეთების გაყიდვა“—უყვირიათ გულჩაფელ, მაგრამ შეუგნებელ მუშებს. ამ ამბის შესახებ მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ ერთხმათ გამოიტანა დადგენილება, სადაც იგი სასტიკათ ჰგმობდა თავისუფლების და დემოკრატიზმის შელახვას. ეს იყო მარტში. ეს იყო დიდი რევოლიუციის პირველ გამარჯვების შემდეგ.

დღესაც რუსეთი დიდი რევოლიუციის პროცესში იმყოფება. ქვეყანას განაგებს – ქვეყნის მიერ დაწუნებული პარტიული მთავრობა ბალშევიკებისა,

რომელნიც დღემდე თავის თავს სოციალ-დემოკრატებათ სთვლიან. ბოლშევიკები წინათ დანარჩენ სოციალისტებთან ერთათ გმირულ ბრძოლას ეწევოდენ დემოკრატიასთან. რას სჩადიან ისინი დღეს? არა ბოლშევიკური, როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური გაზეთები—ცენზურის ქვეშ იმყოფებიან, იდეალური წესით არჩეული ხალხის ორგანოები გარეკილი არიან, დამფუძნებელ კრების წევრებს შეურაცყოფენ და აპატიმრებენ... გამეფებულია ლენინის და ტროცკის დიკტატურა! ხალხი აღარ იღებს მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში, იგი ძველებურათ თვითმყრობელთა მონა-მორჩილი შეიქნა. ლენინის დეკრეტები და ბრძანებები ვითომდა სოციალისტურ რევოლიუციის მიზნისთვის გამოცემულნი, აბრკოლებენ ხალხის თვითმოქმედებას, ახშობენ მის პსიხიკაში პატივისცემას დემოკრატიისადმი, ჰქმნიან მასში ისეთ სულისკვეთებას, რომლითაც ადვილათ ისარგებლებს კონტრ-რევოლიუცია. ამას მშვენივრათ გრძნობენ შავრაზმელები, რომელნიც დღეს უკვე თამამათ გაიძახიან, მომზადდა ნიადაგი მონარქიის დაბრუნებისათვისო.

დღეს აღარ არის დემოკრატია; იგი შეურაცხყოფილი და დამარცხებულია ბალშევიკების პოლიტიკის წყალობით. მაგრამ საბედნიეროთ, ყველგან ასე არ არის. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, კერძოთ საქართველოში—დემოკრატია ისევ ძლიერი და შეურყეველია. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ჩვენ მთელ რუსეთში მარტონი არა ვართ. ჩვენს მხარეზეა რუსეთის ყველა საღი, ნათელი, ჭეშმარიტათ დემოკრატიული ელემენტი. ეს რწმენა გვასულდგმულებს ჩვენ. ამიტომ ჩვენში ისევ ძლიერია იმედი, რომ ღროებით დამარცხებული დემოკრატია კვლავ აღსდგება, აამუშავებს თავის საუკეთესო იარაღს—დამფუძნებელ კრებას—და მიიყვანს ხალხის მრძოლობას გამარჯვებამდე.

მ. ხუნდაძე.

ძველი და ახალი.

„ორი მარქსიზმი“.

მარქსიზმი კაპიტალისტურ საზოგადოების შინაგანმა წინააღმდეგობამ წარმოშვა; ბურჟუაზიულ წყობილების ნერვიულმა ცვალებადობამ მისცა მას დაუდგრომელი, დიალექტიური სული, „მომავლის კლასმა“ პროლეტარიატმა კი თავის სიმტკიცე და ცხოველმყოფლობა. ამიტომ, ცხადია, მარქსიზმს, როგორც ისტორიულ განვითარების ახსნის და შესწავლის მეთოდს ყველაზედ უფრო მისივე დედა-კაპიტალისტური საზოგადოება უნდა ამტკიცებდეს.

და მართლაც შინაგანი წინააღმდეგობა და კლასთა დაპირდაპირება ისე არასოდეს არ ყოფილა ნათლათ გამორკვეული და მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო, როგორც დღეს, ამ ხანაში. მუშათა კლასმა, პროლეტარიატმა ამ ქვეყნათ თან მოიტანა თავისი ინდივიდუალური განსაკუთრებული სახე, ფსიქოლოგია, აზროვნება და მეთოდი ბრძოლისა. ბურჟუაზიის და პროლეტარიატის მატერიალურ ინტერესებს შორის წინააღმდეგობამ წარმოშვა წინააღმდეგობა საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში; ეს წინააღმდეგობა იმდენათ ძლიერია, რომ თითქმის მომავალ, ახალ საზოგადოებას, არ სურს არავითარი მემკვიდრეობა მიიღოს ძველისაგან.

აქედან ცხადია მომავალი სოციალური რევოლიუცია მარტო მატერიალური, ნივთიერი კი არ იქნება თავისი შინაარსით, არამედ გონებრივი და ზნეობრივიც; რევოლიუცია ყველა სფეროში, დარგში უნდა მოხდეს, ცხოვრების ყველა მხარეს უნდა გასწვდეს. დღეს დასავლეთ ევროპაში სწარმოებს ბრძოლა ორ კლას შორის, მაგრამ ბრძოლა იგი ამავე დროს არის ბრძოლა ორ, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ, კულტურის შორის.

ბურჟუაზიული საზოგადოება დაავათმყოფებულია, ავათ არის მისი კულტურაც; შიში, გამოურკვევლობა და მისტიური პუსიმიზმი, იმედგაცრუება—ახასიათებს მის შინაგან ცხოვრებას. მომავალი მისთვის ბნელით არის მოცული, აწმყოს რკინის კანონები კი მის წევრს ცხოვრების ტალღების უბრალო ბურთადა ჰხდის.

პროლეტარული კულტურა კი, ისე ვით მთელი მისი მოძრავი ფსიხიკა, ენერგიით და სიცოცხლის დაუშრეტელ სიყვარულით არის სავსე; მუშათა კლასის მონურ მდგომარეობის მიუხედავათ, ბრწყინვალე მომავლის სხივები შეძლებას აძლევს მას ტანჯვით სავსე აწმყო დასძლიოს და „დიადი ტანჯვა“ „დიად სიხარულათ“ ექცეს. მომავალი შარავანდედით არის შემოსილი, მედგარი ბრძოლა ამ მომავლისათვის—აი მრწამსი პროლეტარულ მოძრაობისა... ცხოვრების საღი შეცნობა, ცოდნა ბუნების და ადამიანისა, ცოდნა რეალისტური—აი საუკეთესო იარაღი ამ ბრძოლაში.

პროლეტარიატი ჯერ კიდევ გზაში ჰკრეფს თავის ძალას და სიმტკიცეს, იგი თანდათან ჰღებულობს დასრულებულს თავის სახეს... პროლეტარული კულტურაც ჯერ დაუსრულებელია, იგი ეხლა განიცდის განსახების ხანას. პროფესიონალური, პოლიტიკური და კოოპერატიული ორგანიზაციები; სხვა და სხვა კულტურული და განმანათლებელი დაწესებულებანი; აწ დამსხვრეული მაგრამ თან და თან ძალების ხელ-ახლავ შემკრეფი ინტერნაციონალი; პროლეტარული ლიტერატურა, ხელოვნება, ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მომავლის შვილი—აი უმთავრესი მხარეები პროლეტარულ კულტურისა.

მაგრამ მარქსიზმი უმთავრესი დედა-ძარღვია ამ კულტურის, უმთავრესი ბრძოლის იარაღი და მასთან თავისივე თავის შეგნების, თვითშემეცნების, თავისივე ძალების აწონ-დაწონვის საშუალება. მარქსიზმი უპირველეს ყოვლისა მეცნიერებაა, და ამავე დროს იგი მუშათა კლასის იდეოლოგია არის. ეს ორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორიული და პრაქტიკული მომენტი მარქსიზმში საუკეთესოთ არის შეერთებული, რადგან პროლეტარიატს, ყველაზე უფრო პროგრესიულ კლასს, თავის იდეოლოგიის სახით უკანასკნელი მეცნიერული სიტყვაც მოაქვს. ეს სინთეზი*) პრაქტიკულ და თეორიულ მომენტისა თავისებურს სახეს და ხასიათს აძლევს მარქსიზმს, როგორც იდეოლოგიას და მეცნიერებას; მუშათა კლასის ძლიერების და გავლენის ზრდასთან ერთათ იზრდება და ფართოვდება პროლეტარული კულტურა და კერძოთ მარქსიზმი. იზრდება მარქსიზმის გავლენა გონებრივ ცხოვრების ყველა დარგში, რადგან იგი—იდეოლოგია მებრძოლ კლასისა—უპირველეს ყოვლისა „ყველა ძველ ღირებულებათა ხელ-ახლად შეფასება“ უნდა იყოს. ამიტომ მარქსიზმის უმთავრესი მისწრაფებაა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

მარქსიზმის მამამთავრების, მარქსის და ენგელსის, ცხოვრების დროს ბევრი ისეთი კითხვა, რომელსაც ეხლა დიდი რეალური მნიშვნელობა აქვს, ჯერ კიდევ არ იყო ცხოვრების მიერ დასმული, ზოგ მხარეს კი ორი პიროვნება ვერ გასწვდა და მთლიანი პასუხი ვერ გასცა. ასე მაგ. ეროვნული, აგრარული საკითხი, აგრეთვე პროლეტარული ესთეტიკა და სხვ. მაშინ მკაფიოთ და გარკვევით არ იყო წამოყენებული ცხოვრების მიერ, რომ ფართოთ და მთლიანათ შეეხებოდენ მათ. მეორეს მხრით ზოგი საკითხის გაშუქება, მათ შორის პროლეტარულ ფილოსოფიისა, მათ ვერ მოასწრეს და მხოლოთ რამდენიმე დებულება დაგვიტოვეს.

აქედან ცხადია მარქსიზმი მე-19 საუკუნისა მხოლოთ ძლიერი საფუძველი არის იმ დიად მარქსიზმისა, რომელიც სოციალისტურ რევოლიუციის დროს ახალ კულტურის უმთავრეს ძარღვათ უნდა მოევლინოს განახლებულ კაცობრიობას. მარქსიზმი მე-19-ე საუკუნისა იზრდება, ფართოვდება, ახალ კითხვებს აძლევს პასუხს; იგი ყოველგან თავის ბატონობას ამკვიდრებს. მტრებს ეს მისი კრიზისი ჰგონიათ, მაგრამ ვერ ჰგრძნობენ, რომ ეს „კრიზისი“ ზრდის და განვითარების „კრიზისია“. ამ „ორ“ მარქსიმს შორის, თუ შეიძლება ისინი ისე განისაზღვროს, არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს, ისინი ერთს ორგანიულს მთელს შეადგენენ, მხოლოდ განვითარების თვალთახედვის ისრის ქვეშ განხილულს: ერთი-მორის გაღრმავება და შემდეგი განვითარებაა;—განვითარება და არა შეცვლა. ამისთვის ჩვენ ამ განვითარების ხაზს გარეშე ვსტოვებთ „რევიზიონიზმს“, როგორც მარქსიზმის განვითარებას კი არა, არამედ მის შეცვლას და ეულგარულათ „გადაკეთებას“; იგი მარქსიზმის ძირითად მეთოდსაც სცვლის, მის განსაკუთრებულ სულს აწყალებს... სულ სხვა გვინდა ვსთქვათ ჩვენ... „დიდი მარქსიზმი“ არ ჰღალატობს ორტოდოქსალურ**) უმთავრეს შინაგან მიმართულებას, მაგრამ მასთან არავითარ განყენებულ აბსოლიუტებს***) არ ჰქმნის თავის მოძღვრებაში, მას ხომ ასე რიგათ სძულს ყოველგვარი „შეურყეველი“ სამარადისოთ დასრულებული და გამოკვეთილი ჭეშმარიტება. მარქსიზმი განსაზღვრულ ხანის შვილია, იგი მუშათა კლასის იდეოლოგიაა, ამას გარდა მისი სხეული ეითარდება თვით ამ ხანის ფარგალშიაც და იცვლება კიდეც ზოგიერთ ნაწილებში: მაგრამ ეს ცვლილება განვითარების ცვლილებაა. რაც დრო გადის იგი მტკიცდება და ღრმავდება: მოვა დრო, როდესაც ეს გიგანტი, მთლიანი და სრული, იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას.

„რა უნდა იყოს მარქსიზმი?—სიესის სიტყვით ჰკითხულობს პეტრე იუშკევიჩი—სუყველაფერი... რა არის ის სინამდვილეში?—ცოტა რამ... ეს, რასაკვირველია, შედარებითი „ცოტა რამ“ არის, ეს უზარმაზარი „ცოტა რამ“ არის. მაგრამ მარქსიზმის ამ აქტუალურ, გამოაშკარავებულ ფორმისაგან ჯერ შორს არის იმ ფარულ, პოტენციალურ სიმდიდრემდის, მასში რომ არის ჩამარხული. პოტენციალური მარქსიზმი—მეოთხე წოდების იდეა, უნივერსალური, ყოველმხრივია; არაფერი ადამიანის შესახები, კულტურული მისთვის უცნობი არ არის: რელიგია, ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფია, სალიტერატურო და საკრიტიკო კითხვები—ყოველივე ამას მან უნდა გასცეს, დადებითი თუ უარყოფითი, მაგრამ ორგანიულათ შეკავშირებული და შეთანხმებული პასუხი“.

ზოგი მარქსისტი პესიმისტურათ უცქერის მთლიან, „დიად“ მარქსიზმის და უფრო კი პროლეტარულ კულტურის სხვა მხარეების (ხელოვნება და სხვ.) ბურჟუაზიულ საზოგადოებაშივე ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ პესიმიზმს... მარქსიზმის განვითარების შემაფერხებელ მიზეზებშივე უნდა ვეძიოთ გამოსასვლელი გზა. ეს მიზეზები ორგვარი არის: მატერიალურ, ნივთიერ და ფსიხოლოგიურ ხასიათისა.

პროლეტარიატი თუმცა მებრძოლი და პროგრესიული კლასია, მაგრამ მასთან იგი დამონავებული კლასიც არის. მან ძვირათ უნდა აიღოს ყოველი, თუ გინდ შედარებით უმნიშვნელო, პოზიცია... ამ ბრძოლაში კი იგი იძულებულია უმთავრესი თავისი ყურადღება პრაქტიკულ მხარეს მიაქციოს და იმ დარგებს გონებრივს ცხოვრებისას, რომელნიც ამ პრაქტიკულ მხარეებს უფრო ეხებიან. ეს კი ხელს უშლის მარქსიზმს გაფართოვდეს და განვითარდეს. მეორეს მხრით, მატერიალურ დაქვეითების გამო, პროლეტარიატს უძნელდება თავის იდეოლოგების თავისივე წიაღში წარმოშობა, მაგრამ ამასთანავე უძნელდება მასთან მოსულ ინტელიგენციის შენახვა და მატერიალურათ უზრუნველყოფა. ამისთვის ბევრი ინტელიგენ-

*) სინთეზი—შეერთება, შედეგება სხვა და სხვა საგნებისა, ან მცნებისა.

**) ორტოდოქსალური—ჭეშმარიტი.

***) აბსოლიუტი—უცილობელი, პირველი და სრული ჭეშმარიტება.

ტი, მწარე დღეების დროს, სცილდება მას და იგი მხოლოთ ღა ენტუზიასტების ამარა რჩება.

მეორე რიგი მიზეზებისა ფსიხოლოგიურ ხასიათის არის. ჩვენ ზევითაც ვსთქვით: მარქსიზმში ჰარმონიულათ****) არის შედუღებული პრაქტიკული და თეორიული მომენტი, მაგრამ ყოველი ჰარმონია და სინთეზი, რა გინდ ძლიერიც არ უნდა იყვეს ის, თავის განვითარებაში, ცხოვრებაში გატარების დროს, სხვა და სხვა მიზეზების გამო ააშკარავებს მეორეხარისხოვან (побочный) სისუსტეს. ასეთ სისუსტეთ ჩაითვლება პარტიული კონსერვატიზმი, რომელიც სჩვევია ყოველ პარტიას, როგორც ასეთს, (უფრო კი არა პროგრესიულს) და რომელიც აფერხებს მის საღს ზრდას და თეორიულათ დასრულებას. აქ არის საფრთხე ერთ ერთ „აბსოლიუტის“ შექმნისა, მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმი ამსხვრევს ყოველგვარ აბსოლიუტებს. ეს ერთი... პროლეტარიატი ამასთანავე მემკვიდრე არის ბურჟუალიულ საზოგადოების ყველა კულტურულ ღირებულებათა, რადგან ის მოსპობს და გაანადგურებს, რაც განადგურების ღირსია, ხოლო იპატიებს, რაც შენარჩუნების ღირსია. ამაშია სიბრძნე და პრინციპი ყოველ რევოლიუციისა. ამ ღირებულებათა შენარჩუნებლათ კი მუშათა კლასს უნდა შესწევდეს ობიექტიურ შეფასების ძალა; მაგრამ ეს ობიექტიობა ბრძოლაში მონაწილე კლასს ძნელათ თუ შეუძლია გამოიჩინოს... მას ძალიან სძულს ყოველი საწინააღმდეგო, მისთვის ძნელია თავის მოწინააღმდეგის თუნდაც მარგალიტების დატოვება და შენახვა. არის კიდევ მესამე ფსიხოლოგიური საფრთხე, რომელიც, პირველ შეხედვით, აქარწყლებს ჩვენს წინანდელს ნათქვამს. ეს საფრთხეა სხვა კლასების იდეოლოგიით პროლეტარიატის გიჟღენთა. თანამედროვე ცხოვრების ძაფები ისე გადკხლართულია, რომ ზოგიერთ ეკონომიურ მდგომარეობის დროს (უფრო კი, როგორც კაუცკი აღნიშნავს, „მიწყნარების“ ხანაში.) ადვილი ჰხდება სხვა კლასების იდეოლოგიის უნებლიე ნაწილობრივი შეთვისება; ამის მაგალითია „რევიზიონიზმის“ და წვრილ ბურჟუაზიულ იდეების ზრდა გერმანიის სოც.-დემოკრატიაში. ეს ორი მხარე ფსიხოლოგიურ დუალიზმისა*****) იგივე მეორეხარისხოვანი სისუსტეა პროლეტარულ მოძრაობის მეორე ჰარმონიისა: მუშათა კლასი ნაწილია ბურჟუაზიულ საზოგადოებისა და ამავე დროს მისი უარმყოფელი და მომავლისათვის მებრძოლი.

ასეთია მატერიალური და ფსიხოლოგიური დაბრკოლებანი მარქსიზმის ჩამოყალიბების გზაზე. მიუხედავათ ამისა მომავალს იმედიანათ ვუცქერით: მარქსიზმი ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა. პროლეტარიატი თან და თან იპყრობს პოზიციებს და თავის მდგომარეობას აუმჯობესებს, ეს კი და მასთან ერთად ძლიერი ენტუზიაზმი *****) და შინაგანი ძალა პროლეტარულ მოძრაობისა შეძლებას მისცემს მას მრავლათ წარმომშვას თავისი იდეოლოგები და ინტელიგენტური ძალებიც დაკმაყოფილოს. მეორეს მხრივ იგივე ენტუზიაზმი და დაქვეითებული მდგომარეობა „პროლეტარულ“ ინტელიგენციისა მუშათა კლასთან აკავშირებს და აერთებს მას. ყველა ეს ამზადებს მატერიალურ ნიადაგს მთლიან იდეოლოგიის შექმნისათვის. მარქსიზმი შესძლებს აგრეთვე გადალახოს ფსიხოლოგიური დაბრკოლებანი. იგი ერთათ ერთი იდეოლოგიაა, რომელმაც სავსებით იცნო თავის თავი და ადგილი კაცობრიობის განვითარებაში. ეს თვითშეგნება და აგრეთვე თვით პროლეტარულ მოძრაობის სწორი აღლო შეძლებას მისცემს მას გადალახოს პარტიული კონსერვატიზმი, შეინარჩუნოს საჭირო ობიექტიობა და ასცდეს ბურჟუაზიულ კულტურის საშიშრობას. ამის ნათელ ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ. ყველა ეს იმედს გვაძლევს და სიხარულით მოველით მარქსიზმის და საერთოთ პროლეტარულ კულტურის სრულყოფას და სრულქმნას. შეიძლება მანძილი გამოაშკარავებულ და ფარულ, პოტენციალურ მარქსიზმს შორის სოციალიზმამდე სავსებით არ ამოივსოს, მაგრამ ძლიერ შემცირდება კი და ეს არსებითათ არ სცვლის მდგომარეობას. სოციალიზმი კი, მიუხედავათ იმისა, რომ მის დროს იდეოლოგია ეკონომიურ ცვლილების მიხედვით სხვა განსაკუთრებულ გეზს დაადგება, გვირგვინი იქნება მარქსიზმის და პროლეტარულ კულტურისა.

ასეთსავე განვითარებას განიცდის მარქსიზმი რუსეთში და კერძოთ საქართველოში; 90-იან წლებში ჩაეყარა ჩვენში საფუძველი მარქსისტულ მოძრაობას და ამ საფუძველზე თანდათან იზრდება ბუმბერაზი ხე სოც.-დემოკრატიულ მიმდინარეობისა. ცხადია, ზემო აღნიშნულ პირობების გამო, ამ მარქსიზმს, როგორც დამწყებს, ვერ ექნებოდა ყოველმხრივი, უნივერსალური ხასიათი, იგი მხოლოთ სოციალურ-ეკონომიურ და საპოლიტიკო კითხვებით იყო „განსაზღვრული“; ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა შევამციროთ მისი მნიშვნელობა, ეს „განსაზღვრული“ რამ, ისე როგორც მარქსიზმი მე-19-ე საუკუნისა, უზარმაზარი და ბრწყინვალე რამ არის. ბნელით მოცულ კონსერვატიულ ქართულ აზროვნებაში იგი, ვით სხივი სინათლისა, ისე შეიჭრა და ორთქმავალის პირველ საყვირივით შეაშფოთა ინერტიული *******) ქართველი საზოგადოება. ცხადია მას ნგრევა ძველისა ძირიდან უნდა დაეწყო, უნდა აეხსნა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და პასუხი გაეცა სხვა და სხვა სოციალურ კითხვებზე; მას უმთავრესი ყურადღება კონკრეტულ მხარეებისათვის უნდა მიექცია, და კონკრეტიულათ მაშინ ცხოვრებამ ეს წამოაყენა... ამ თეორიულ მუშაობასთან ერთად აუარება ძალ-ღონე იხარჯებოდა პრაქტიკულ მოქმედებაზე... ოცი წელი იბრძოლა ჩვენში მარქსიზმმა და ღირსეულათ მოიტანა თავისი დროშა დღემდის... დღეიდან უკეთესი ცხოვრება იწყება და ცხოვრებამაც ახალი საკითხები დასვა დღიურ წესრიგში... მარქსიზმი

****) ჰარმონია — კეთილხმოვანება; ამ შემთხვევაში — შესაბამება.

*****) დუალიზმი — გაორება, ორპიროვნება.

******) ენტუზიაზმი — აღტაცება, უფრო რაიმე იდეით და იდეალისათვის ბრძოლით.

*******) ინერტიული — უმოქმედო.

ჩვენშიაც უნდა გაღრმავდეს, გაფართოვდეს, ყველა სფეროში შეიჭრას და თავისი „მე“ დაამკვიდროს... ეს მესამე დასის ტრადიციის ღირსეული განგრძობა იქნება, არა მისი წინააღმდეგობა, არამედ შემდეგი ზრდა ყველა იმ მარგალიტებისა, რომლებიც მესამე დასის თეორიულ შემოქმედებაში იყვნენ დამარხული, და მასთან განსახება, რეალიზაცია ყველა იმ შესაძლებლობისა და ფარულ სიძლიერისა, რომელიც პროლეტარიატის მთლიან ფსიხიკაში და მოძრაობაში არის ჩაქსოვილი.

ბაძინა რამიშვილი.

შ ე ფ ი ცვ ა.

ეფიცავ, ვით გმირი სწორ-უპოვარი,
თავდადებულთა წმინდა საფლავებს,
ხმალ-ამოწვდილი, თქვენს რაზმში მდგარი
მეც ვასახელებ მედგარ მხარ-მკლავებს!
დაე, წინ შემხვდეს მტარვალთა ჯარი,—
ვიბრძოლებ!.. ბრძოლა—ლხენაა, ლხენა!
მე მაფრთოვანებს ბრძოლა მედგარი,—
ელვარე ხმალთა ჰაერში ფრენა!

ნუ მღირსებია მშობლიურ ჰერ ქვეშ
სატკბილალერსოთ მშობელი დედა,
თუ ურდო-მტერთა სისხლის ნაკადით
ვერ გარდვიბანე გულიდან სევდა!
ნურც მოესწრებივარ სატრფოსგან ტრფობას
და სიტკბოებას ჟამთა სრბოლაში,
მაღალ მიზნისთვის შეფიცულ ძმობას
თუ ვუღალატო დიად ბრძოლაში!

მაშ, სულის ძმებო, იშიშვლეთ ხმლები!
აღმართეთ დროშა ხალხთა შვებისა!
დაე გრგვინავდნენ მედგარი ხმები
ცხოვრების გერთა გამარჯვებისა!..

გენო.

ეროვნული პროგლემა და მარქსიზმი.*)

I.

თანამედროვე ერი და ეროვნული მოძრაობა.

დღევანდელმა უმაგალითო ომმა და მის მიერ გამოწვეულმა რევოლიუციამ დღიურ წესრიგში წამოაყენა ეროვნულ პრობლემის პრაკტიკულათ გადაჭრა. კაპიტალისტურ ხანაში ეს პირველი მაგალითია,—როცა ეროვნულმა მოძრაობამ ასეთი ფართო ხასიათი მიიღო. მთელ ევროპაში, რუსეთში, ვიტყვი მეტს,—მთელს დედამიწაზე დღეს ყოველი ერი ამოძრავდა, გამოიჩინა თავისი მთლიანი ინდივიდუალური სახე („მე“) და გამოხატა ცხოველმყოფელი ძალა და მისწრაფება ეროვნულ თავისუფლებისადმი.

მაგრამ რაში გამოიხატება ეს ეროვნული თავისუფლება?

რა ფორმით და შინაარსით უნდა განხორციელდეს ერის მისწრაფება? ყველასათვის ერთი პრინციპი და ერთი გეგმა არის საჭირო, თუ თვითეული ერის მოთხოვნილება დამოკიდებულია სხვა და სხვა რეალურ პირობებზე? აი აქ დასმულ კითხვებზე გვინდა ჩვენ მოკლე თეორიული წერილით ვუპასუხოთ.

რასაკვირველია, ვიდრე თვით ეროვნულ პრობლემის შესახებ ვიტყოდით რაიმეს, საჭიროა გამოვარკვიოთ მეცნიერულათ, რას წარმოადგენს თვით ერი, რას ნიშნავს ცნება—ერი? სოციოლოგიაში და ფილოსოფიაში არსებობს მრავალი თეორიები, რომელნიც ცდილობენ რაც შეიძლება სწორეთ გამოარკვიონ ეს კითხვა. თვითეული თეორია ხშირათ ძალიან საინტერესო არის, მაგრამ, მეცნიერულ თვალსაზრისით, სათანადოთ ვერ სწყვეტს დაყენებულ კითხვას. ავიღოთ, მაგალითათ, რასიული თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ თვითეული ერი, ნაცია წარმოადგენს თავისებურ მატერიალურ არსებას, სუბსტანციას. ეს მატერიალური სუბსტანცია არის ის უჩინარი, მისტიური ძალა, რომელიც ქმნის საერთო ეროვნულ ხასიათს. მთელი ისტორია ამ თეორიას წარმოდგენილი აქვს, როგორც მუდმივი ბრძოლა სხვა და სხვა რასიულ არსებათა შორის. რა თქმა უნდა, ეს შეხედულება ვერ დაგვაკმაყოფილებს ჩვენ, ვინაიდან არ კმარა მარტო იმის აღნიშვნა, რომ არსებობს სხვა და სხვა რასა, საჭიროა ამ სხვა და სხვაობის მსკნიერულათ ახსნა და დასაბუთება. რასიული თეორიები წარმოადგენენ საერთოთ ეროვნულ მატერიალიზმს, ,რომელსაც გობინოს წყალობით ერთგვარი გასავალი ჰქონდა მე-XIX საუკუნეში. მეორე მხრით, ეროვნულ სპირიტუალიზმის მიმდევრები იმ აზრს იზიარებენ, რომ ერი წარმოადგენს განსხვავებულ სულიერ არსებას, სულს; ერის ისტორია—ეს არის ეროვნულ სულის განვითარება; მსოფლიო ისტორია—სხვა და სხვა ეროვნულ სულთა შორის ქიშპობა, ბრძოლა. მაგრამ რა არის ეს ეროვნული სული, საიდან წარმოიშვა იგი? ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ სპირიტუალისტები ვერ გვაძლევენ.—ჩვენ არ შევუდგებით დეტალურ

*) წყაროებს ამ წერილის ბოლოში აღვნიშნავთ.

განხილვას სხვა და სხვა თეორიებისას, რომელნიც უახლოვდებიან მეტაფიზიკურ ფილოსოფიას და ამის გამო ვერ ძალუძთ სწორეთ გადაჭრან კითხვა.—გარდა ამისა არსებობს ისეთი თეორია, რომელიც ერის ცნების შემადგენლობას ხსნის რამოდენიმე ელემენტით. 1) საერთო შთამომავლობა, 2) საერთო ზნე-ჩვეულება, 3) საერთო ენა, 4) საერთო კანონები და რელიგია, 5)საერთო ისტორიული წარსული, 6) საერთო ტერიტორია—აი ის ელემენტები, თვისებები, რომელნიც ქმნიან ადამიანთა უბრალო კრებულადან—ერს, ნაციას. ცალკ-ცალკე აღებული მათგანი ვერ ახსნის, რა თქმა უნდა, ერთა სხვადა-სხვაობას. ვინ არ იცის, რომ ხშირათ რამოდენიმე ერი ერთ ენაზე ლაპარაკობს (ამერიკელები, ინგლისელები, ირლანდიელები), ან კიდევ ერთ ერში გაბატონებულია რამოდენიმე რელიგია (მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები) და სხვა და სხვა. ყველა ეს თვისებები, ერთათ აღებული, ობიექტიურათ კი ახასიათებენ ნაციას, მაგრამ მეცნიერებისათვის არ კმარა რამოდენიმე თვისებათა ჩამოთვლა მხოლოდ, როდესაც განმარტავ რაიმე ცნებას. გარდა ამისა საჭიროა ამ თვისებების, ელემენტების ლოგიკური და ისტორიული სისტემატიზაცია.

უამისოთ ამ თეორიას მხოლოდ აღწერილობითი მნიშვნელობა ეძლევა.—სანამ გამოვთქვამდეთ ჩვენ აზრს იმ კითხვებზე, თუ რა არის ერი, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ მეტათ საინტერესო თეორიას, რომელიც ეკუთვნის ფსიხოლოგიურ შკოლას. ფსიხოლოგისტების შეხედულებით ერი ეს სუბიექტიური, ფსიხოლოგიური მოვლენა არის.

მე ვფიქრობ, ვგრძნობ, რომ მე ქართველი ვარ, ამიტომ მე მართლაც ქართველი ვარ. თუ არ არის ასეთი ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული გრძნობა, არ არსებობს ერი. ჩვენ დავეთანხმებით ამ თეორიას, მხოლოთ იმაში, რომ მართლაც ერი ბოლოს და ბოლოს სუბიექტიურათ გამოიხატება ადამიანის სულიერ არსებაში, მის ფსიხიკაში, მაგრამ ნუ თუ ეს სუბიექტური მხარე საკმარისია იმის გამოსარკვევათ, თუ რა არის ერი?

როდესაც მეცნიერი, მაგალ. ქართველი, მიდის ევროპაში და აპირებს გამოიკვლიოს, თუ რითი განირჩევა ფრანგი—გერმანელისაგან, ის მიმართავს, რა თქმა უნდა, ისეთ ობიექტიურ თვისებებს, რომელნიც საერთოთ ახასიათებენ ერს. ის ვერ გადასწყვეტს, რომ ეს არის ფრანგი და ის გერმანელი მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგი გრძნობს და ამბობს, რომ ის ფრანგია და გერმანელი კი თავის თავს გერმანელათ სთვლის. მერე იბადება კითხვა,—რატომ გრძნობს ფრანგი თავის თავს ფრანგათ, რას წარმოადგენს ის უჩინარი ძაფი, რომელიც გაბმულია მის და სხვა ფრანგთა შორის? გამოდის, რომ ეროვნული თვითშეგნება არ არის პირველადელი ფაქტორი ერისა, რომ რაღაც სხვა მიზეზები ქმნიან ეროვნული ვინაობის გამორკვევას, ეროვნულ თვითშეგნებას.

შემდეგ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ, თუ რომელიმე ნაწილი ერისა არ სთვლის თავის თავს ამ ერის შეილებათ, ეს კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ ესენი მართლაც არ ეკუთვნიან ამ ერს. თუ გამაჰმადიანებული ქართველები თავის თავს სთვლიან თურქებათ, მეცნიერებისთვის ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აჭარლები ან სხვა მაჰმადიანი ქართველები—თურქები არიან.

ამ არგუმენტებიდგან ცხადია, რომ ეროვნული შეგნება, ეროვნულ-ფსიხოლოგიური თვითგამორკვევა არ აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნილებას.

უნდა გამოვტყდეთ, რომ საერთოთ მეცნიერებაში არ არის ნათლათ გამორკვეული ცნება—ერი!

ერი—ეკუთვნის იმ ცნებათა რიცხვს, რომელთა შესახებ ინგლისელი მეცნიერი ბეჯგოტი ამბობდა: „ჩვენ ამ ცნების შესახებ ვიცით რაიმე მანამდე, სანამ არ დაგვეკითხებიან, თუ რას ნიშნავს ეს“!

თუ ლოლიკის მხრით ჩვენი ახსნა ერისა არ იქნება მთლათ დამაკმაყოფილებელი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვგონებთ, რომ მაინც დაახლოვებული ვიქნებით სრულ მეცნიერულ განმარტებასთან.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ჩვენ ვდგევართ ორტოდოქსალურ მარქსიზმის ნიადაგზე, რომელიც მეცნიერებში გამაგრებულია ერთი მხრით დარვინიზმით, და მეორეს მხრით უკანასკნელ საუკუნის სოციოლოგიურ და ისტორიულ გამოკვლევებით.

მარქსისტულ შეხედულებამ უარჰყო ყოველგვარი მეტაფიზიკა და მოუნახა თვითეულ სოციალურ მოვლენას, მათ შორის ერსაც, ისტორიული, რეალური ახსნა. ერი—არ არის ერთი დამთავრებული მოვლენა, რომელიც წარმოშვა განსაკუთრებულმა მეტაფიზიკურმა სუბსტანციამ, არა, ერი—ეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ნაყოფია ისტორიულ პროცესისა, რომლის უკანასკნელ, საბოლოო მნზეზებს შეადგენს საწარმოო ძალთა განვითარება. ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრების მოსაწყობათ, ცხოვრების სახსარის საშოვნელათ „შედიან განსაზღვრულ და თან უნებლიე დამოკიდებულებაში—საწარმოო დამოკიდებულებაში“—ამბობს მარქსი თავის ცნობილ „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაში“.

ბრძოლა არსებობისათვის, მატერიალურ საშვალებათა მოპოვების სურვილი—აერთებს კერძო ადამიანებს საზოგადოებაში. ეს საზოგადოება,—რომელიც სცხოვრობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილზე, ტერიტორიაზე—დროთა მსვლელობის გამო თანდათან მჭიდროვდება და იქმნება ერთ განუყოფელ სოციალურ ორგანიზმათ. ერთ ტერიტორიაზე მობინადრენი, მუდმივ ურთიერთ დამოკიდებულების გამო დიდი ხნის განმავლობაში განიცდიან ურთიერთ ფსიხიურ გაელენას. ამის გამო თან და თან შემუშავდა საერთო ხასიათი, საერთო ზნე-ჩვეულებანი, საერთო რელიგია, ერთი სიტყვით საერთო სულიერი კულტურა.

აი ეს სოციალური ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ისტორიულათ შემუშავებულ სოციალურ არსებას და არა უბრალო პიროვნებათა კრებულს—არის ერი.

ასე, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში, ეკონომიურ ცხოვრებაში მჭიდროთ შეერთებულნი, თან და თან იმუშავებენ საერთო ფსიხიკას, სულიერ კულტურას და საერთო ენას, რომელიც საუკეთესო გამომხატველია ერის ორგანიულ მთლიანობისა. აი ეს განმარტება წარმოადგენს ეროვნულ ცნების ობიექტიურ მხარეს. მაგრამ ეს არ კმარა. კითხვის სრული გადაჭრისათვის ნუ დავივიწყებთ იმ ფსიხოლოგიურ მომენტს, რომელსაც ჰქვია ეროვნული თვითშეგნება და ეროვხული გრძნობა. აი ამ სუბიექტიურ მოვლენას ჩვენ ვეძახით, ეროვნებას.*) მაშინ როდესაც ერის შვილნი გრძნობენ, რომ ისინი ეკუთვნიან ამა თუ იმ ერს, მაშინ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ არსებობს ერთი მთლიანი, გახუყრელი ერი და საერთო ეროვნული შეგნება. აი ეს მთლიანი ერი და ამ მთლიანობის სუბიექტიური შეგნება—ნაყოფია თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებისა, თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებისა. წინათ, ფეოდალურ ხანაში, როდესაც არ არსებობდა საერთო მეურნეობა, ყოველი პროვინცია, კუთხე, გვარი, ოჯახი კარჩაკეტილათ ცხოვრობდა და ცხოვრებისათვის აუცილებელ საგნებს სახლშივე ამზადებდა, მაშინ, რასაკვირველია—არ არსებობდა არც მთლიანი ერი არც საერთო ეროვნული შეგნება. მაგალითებისათვის შორს ნუ წავალთ. ვიღაპარაკოთ ჩვენ სამშობლოზე, საქართველოზე. მე-XIX—XX საუკუნემდე ქართველი ერი და საქართველო, როგორც მთლიანი რამ, არ არსებობდა.

იყო გურია და გურულები, ხევსურეთი და ხევსურები, სამეგრელო და მეგრელები და სხვა და სხვა.

საქართველოს ყოველი კუთხე—ეკონომიურათ განცალკევებული იყო. ამიტომ არ არსებობდა არც საერთო ეროვხული თვითშეგნება. გურული თავის თავს გურულს უძახდა და არა ქართველს, თუმცა ქართულ ენაზე ბაასობდა. ქართლელის შეხედულებით, მას არაფერი არ ჰქონდა საერთო აჭარელთან ან მეგრელთან და სხვა. მას შემდეგ კი, როდესაც ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეები კაპიტალისტურ გზას დაადგნენ, განვითარდა აღებ-მიცემობა, ხშირი მიმოსვლა,—თან და თან გართულდა ერის სხვა და სხვა ნაწილების ფსიხიური ურთიერთი დამოკიდებულება, თან და თან შეუშავდა მთლიანი ერი და საერთო ეროვნული შეგნება. თანამედროვე ქალაქმა, რომელიც კაპიტალიზმის ბურჯს წარმოადგენს, შეაკავშირა ერის გაბნეული ნაწილები და შექმნა ისეთი პიროობები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ეროვნულ ცხოვრების განვითარებას. ასეთი ცენტრი არის და იქნება მომავალშიაც საქართველოსთვის, რასაკვირველია, თბილისი, ჩვენი დედა-ქალაქი.

ერის გამრთელების და გაერთიანების პროცესი ყველგან ერთ ისტორიულ კანონს ემორჩილებოდა. ასეთივე კანონს ექვემდებარება როგორც რუსეთი, ისე სხვა ქვეყნების ერთა ისტორიული განვითარება.

ის ერი, რომელიც უფრო ადრე შესდგა თანამედროვე კულტურის გზაზე, რომელმაც უფრო ადრე შეკრიბა და შეადუღა ერთ სხეულში თავისი ძალები—გახდა ძლიერი, გაბატონებული. მან შექმნა ეროვნული სახელმწიფო. ერი, უფრო პატარა, სუსტი, გვიან გამოსული თანამედროვე ისტორიულ ასპარეზზე—ვერ ასწრებს თავის სახელმწიფოს შექმნას, იგი ძალაუნებურათ ხდება სხვა ერის ბატონობის ობიექტათ. მისი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ამის გამო ფერხდება. დამორჩილებული ერი განიცდის ხან და ხან აუწერელ ჩაგვრას, შევიწროებას. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ეროვნული მოძრაობა. თანამედროვე ერში ეკონომიურ, ინტერესთა სხვადასხვაობის გამო ხდება კლასობრივი დიფერენციაცია, ჩვენ მის წიაღში ვხედავთ უმთავრესათ სამ ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ კლასს: ბურჟუაზიას, გლეხობას და პროლეტარიატს. თვითეული კლასი მიილტვის ეროვნულ თავისუფლებისადმი, მაგრამ თვითეულს აქვს თავისი განსაკუთრებული ეროვნული პროგრამა. დღეს თითქმის სუყველგან დიდი სახელმწიფოები—მრავალ ერიანი სახელმწიფოებია, რომლებშიაც გაბატონებულია მხოლოდ ერთი ან ორი ერი, სხვები კი მოკლებულნი არიან ყოველგვარ ელემენტარულ უფლებებსაც კი. მერე რა გზას ადგანან ამ დამორჩილებულ ერთა სხვა და სხვა კლასები?

მეცნიერებაში და პუბლიცისტიკაში არსებობს ერთი გავრცელებული აზრი, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში დაჩაგრულ ერის ბურჟუაზია მიისწრაფვის ეროვნულ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი, რომლის საშვალებით იგი შესძლებს ერთ განცალკევებულ ტერიტორიაზე ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონდეს. რაც შეეხება ფართო დემოკრატიულ მასას და მასთან ერთათ პროლეტარიატს,—ამათ ეინტერესებათ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-კულტურული კითხვები. პროლეტარიატი უფრო ადვილათ აწარმოებს თავის ბრძოლას ეროვნულ-კულტურის ნიადაგზე. სამშობლო ენის საშვალებით. ეროვნული, გასაგები ენა შკოლაში, სასამართლოში, ფოსტაში, მილიციაში და სხვა დაწესებულებებში,—აი უმთავრესი მოთხოვნილება მშრომელი მასისა ეროვნულ საკითხში*).

ამიტომ შეაძენიეთ დემოკრატიას ისეთი ეროვნული ორგანო, (ძალა-უფლებით აღჭურვილი, რა თქმა უნდა), რომელიც გაუძღვება ეროვნულ-კულტურულ საქმეებს, და ის კმაყოფილი იქნება. წარმოვიდგინოთ ერთი წამით, რომ მართლაც ეს აზრი სრულიად სამართლიანი და უნაკლულოა. იბადება ერთი კითხვა.

უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული კულტურა და მისი თავისუფალი განვითარება, თუ მას დარაჯათ არ

*) „ეროვნება და ერი ერთი და იგივე ცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, ფსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტიურს". —ნ. ჟორდანია, „რჩეული ნაწერები" გვ. 625.

*) სამშობლო ენის—სახელმწიფო ენათ აღიარება—ეს არის დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნილება, მაგრამ არა ერთათ ერთი.

ეყოლება ერთგვარი სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელსაც გადაცემული ექნება უფლებები არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკურ საქმეებშიაც? ჩვენ გადაჭრით ვიტყვით, რომ არა! თუ ნაციათა სახელმწიფოში (როგორიც არის მაგალითათ, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი) პოლიტიკურ სფეროში გაბატონებული იქნება ერთი ერი, ჩვენ ადვილათ წარმოვიდგენთ, რომ სხვა ერთა თავისუფალი განვითარება არ იქნება სრულიად უზრუნველყოფილი.

მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატია დაინტერესებულია ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებაში. მისთვის უდიდეს საჭიროებას შეადგენს ისეთი უფლების შეძენა, რომლის ძალით ის ადგილობრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებს თავის სურვილზე გადასჭრის. ამიტომ დემოკრატია მიილტვის ეროვნულ-ტერიტორიალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციისადმი, რომელიც აღჭურვილი იქნება სახელმწიფოებრივი უფლებებით განსაზღვრულ სფეროში. თავის უკანასკნელ შრომაში მარქსიზმის უდიდესი მოციქული კ. კაუცკი სწორეთ ასეთ აზრს გამოსთქვამს: „მისწრაფება ეროვნულ სახელმწიფოსადმი წარმოიშვა ერთ და იმავე დროს თანამედროვე სახელმწიფო დემოკრატიისადმი მისწრაფებასთან და მასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული.

არ არსებობს იმაზე შემცდარი შეხედულება, რომ გადააქციეთ ავსტრო-უნგრეთი დემოკრატიულ ქვეყნათ და იგი ისევ ცხოველმყოფელი იქნება. ავსტრიის გამოცოცხლებისათვის მიმართულ ნამდვილ დემოკრატიულ ზომებს შეადგენს მისი გარდაქმნა ერთ სახელმწიფოდგან ეროვნულ-სახელმწიფოთა კავშირათ“. „თვითოეულ ასეთ ეროვნულ სახელმწიფოში შესაძლებელია სრული, არა მარტო ფორმალური, არამედ რეალური ბატონობა დემოკრატიისა“. პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატია, რასაკვირველია, მხარს უჭერს დემოკრატიას, ვინაიდან მხოლოდ უკანასკნელის საშვალებით შეიძლება გზის გაკაფვა სოციალიზმისაკენ. რაც შეეხება თანამედროვე ბურჟუაზიას—მის ოცნებას შეადგენს არა ნაციონალური, არამედ იმპერიალისტური სახელმწიფო.

ეს არის უკანასკნელი სიტყვა ჩვენი მოძღვრებისა, ჩვენი მეცნიერებისა. მაგრამ სიტყვის საქმეთ გადაქცევა ადვილი არ არის! ამისათვის საჭიროა სათანადო რეალური პირობები. ამიტომ ჩვენი სიტყვა ყოველ ქვეყანაში ერთფეროვნათ და ერთგვარათ, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდება.

მ. ხუნდაძე.

საღეისო კითხვები.

აზრები და შენიშვნები.

1. ცოტა რამ პრინციპსა და ტაკტიკის შესახებ; ს.-დ ცენტრის მომავალი; ბალშევიზმი ძველათ და ახლა.

მარქსიზმში ორი მხარეა: ერთი—თეორია, თვით მეცნიერება, პრინციპი; მეორე — მისი ცხოვრებასთან შეფარდება, მისი პრაქტიკიულათ ცხოვრებაში გატარება—მარქსისტული ტექტიკა. ორივე ერთათ პრინციპი და მოქმედება—ალფა და ომეგაა მარქსისტული მოღვაწეობის. მარქსიზმის თეორია არ იძლევა გადაჭრილ პასუხს ამა თუ იმ ტაქტიკურ საკითხებზე. იგი მხოლოდ მეთოდია ამ კითხვების გადასაჭრელათ. და ვინც მარჯვეთ და სისწორით ხმარობს ამ მჭრელ მეთოდს—გამარჯვებაც მისკენაა. დღეს დღეობით რუსეთში მარქსიზმის სახელით არსებითათ ორი ტაქტიკა იბრძვის: ხშირად ორივე ამა თუ იმ უკიდურესობაში ვარდება. მაგრამ ის ტაქტიკა, რომელიც უმეტეს უკიდურესობაში გადადის, ამით სცილდება მარქსიზმის საზღვარსაც და უკვე პრინციპიალურათ ნსხვავდება მისგან. ერთი დღესავით ნათელია ამჟამათ: რამდენათაც დღევანდელი ბალშევიზმი გარეგნულათ გამარჯვებულია რუსეთში, იმდენად მისი შინაგანი უძლურება იჩენს თავს და უმზადებს მას სრულ იდეურს სიკოტრეს და რამდენადაც დღევანდელი მენშევიზმი დამარცხებულია, იმდენადვე მასში მოსჩანს შინაგანი პოტენციალური ძალა, რომელიც წმინდა მარქსისტულ გეზს იღებს და მიდის ზრდისაკენ. შეიძლება ზოგს ეს ჩვენი მოსაზრება პარადოქსათ ეჩვენოს, მაგრამ რამდენათ საფუძვლიანია ეს პარადოქსი, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს. სულ მოკლე ხანში, ამა თუ იმ ხასიათის დროებითი პირობების შეცვლისთანავე, ეკონომიური განვითარების აუცილებლობით და ერთიანი ჭეშმარიტ პროლეტარული მოძრაობის ზეგავლენით, გაიმარჯვებს და გაძლიერდება მარქსიზმი, მენშევიზმისა და ბალშევიზმის საღი ფრთათაგან გამომდინარე, იდეიურათ ჭეშმარიტად ორტოდოქსალური.**) ასეთია პერსპექტივები***) მარქსისტული ცენტრის შექმნისა და ამის თავდებია მარტოვის ჯგუფის საღ: ზრდა სოციალ-დემოკრატიაში. დღევანდელ პირობებში კი

**) ორტოდოქსალური—ჭეშმარიტი.

***) პერსპექტივა—მომავლის სურათი.

ასე თუ ისე გამარჯვებულია „ბალშევიზმი“, რომელსაც, ჩვენის აზრით, ცოტა ღა აქვს საერთო ძველ ბალშევიზმთან. ამ მიმდინარეობის ლიდერებს, არა გვგონია, ნამდვილათ ჰქონდეთ ძვალსა და რბილში გამჯდარი და გულწრფელათ სწამდეთ ის, რასაც ასე უცერემონიოთ ჰქადაგებენ: დღეს რუსეთში ძირეულათ შეცვლა საზოგადოებრივ წარმოებისა, ეკონომიურის მხრივ ნახევრათ ფეოდალურ-კაპიტალისტური, დარღვეულ-ჩამორჩენილი მეურნეობის მქონე ორგანიზაციის პირდაპირ სოციალისტურ ორგანიზაციაში გადასვლა. აქ ერთის კალმის მოსმით უარყოფილია მარქსიზმის მეცნიერება, ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, დიალექტიკა ისტორიული მატერიალიზმისა და აშკარათ გამოსჭვივის სახე ვულგარული გაწყალებული რევოლიუციონიზმის და მეშჩანური სოციალიზმის. დღეს იმ მასსის უმრავლესობას, რომელიც კი მისდევს „ბალშევიზმს“ ამა თუ იმ მიზნით, სწორეთ ასე ვულგარულათ ესმის სოციალიზმის რაობა და მისი განხორციელება მეურნეობაში. რაც შეეხება ლიდერებს, იგინი მხოლოდ „ბედს სცდიან“, როგორც იტყვიან ამ შემთხვევაში. აი სწორედ აქ ტარდება ცხოვრებაში მარქსიზმის მიერ საუცხოოთ დამარცხებული „გმირისა და მასსის“ თეორია—ეს ბოლშევიზმის თანდაყოლილი სენი და მისი დამახასიათებელი თვისება ტაკტიკაში, თავისთავათ უაღრესათ ანტიმარქსისტული შეხედულობა. ამიტომ მართალია მ. გორკი, როცა აშკარად და პირდაპირ აღიარებს: „დღეს ბალშევიზმის ლიდერები ისეთივე შეხედულობის არიან მუშათა კლასზე, როგორი შეხედულობისაცაა კალატოზი ასაშენებელ მასალის შესახებ. ისინი ახდენენ ცდას: ეგები რამე გამოვიდეს, ავაშენოთ შენობაო. ამ საშინელი ექსპერიმენტების საშინელ შედეგებზე კი ისინი არ სთვლიან თავს მოვალეთ აგონ რაიმე პასუხი“-ო. შაშასადამე, იმ ტაქტიკურ ხაზში, რომელზედაც მოქმედობს „ბალშევიზმი“, რევოლიუციონური და პოლიტიკური ავანტიურიზმი უფრო სჭარბობს, ვიდრე ჭეშმარიტი ალღოიანი რევოლიუციონიზმი. ეს ძირეულ გარდაქმნის აუცილებლობაზე ბჭობს და ოცნებობს დღეს ტროცკი და დარწმუნებული რა იმაში, რომ შეიარაღებული ჯარი, გლეხობა და პროლეტარიატი მიჰყვება მას ბოლომდე, კიდეც სდგამს „პრაქტიკულ ნაბიჯებს“ და ამით ობიექტიურათ მხოლოდ უდიდესი ზიანი მოაქვს სოციალიზმისა და პროლეტარიატის მოძრაობისთვის. ეს გარემოება აშკარათ და ღიათ უნდა აღინიშნოს, ვინაიდან „მოყვარეს უძრახვენ პირში მტერს—პირს უკან“. მაგრამ იგივე ტროცკი 1905 წელში, არსებითათ იმავე ხასიათის რევოლიუციის შესახებ, როგორიც ამჟამათ ჩვენ თვალწინ სწარმოებს, უფრო წრფელი შეხედულების იყო, უფრო თავდაჭერილათ და სერიოზულათ უყურებდა რთულ პოლიტიკურ კონიუნკტურას***) და ისე ვულგარულათ ‌ᲩᲔ უპასუხისმგებლოთ, როგორც ახლა იქცევა მასსის გულის მოსაგებათ, არ მსჯელობდა. (საილიუსტრაციოთ გაიხსენეთ მისი უკანასკნელი სიტყვები, მიმართული გრენადერ ჯარისკაცებისადმი: „გეფიცებით, რომ ქვეყანას გადავაქცევთ აყვავებულ ბაღათ“), ჩემ წინ დევს ტროცკის მოზდილი წიგნი „ჩვენი რევოლიუცია“, დაწერილი ამ ათი წლის წინათ. აქ ავტორი ანალიზს უკეთებს რუსეთის 1905 წლის რევოლიუციის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას, ამტკიცებს სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომელზედაც ახლა სდგას. მაგრამ ამ წიგნში იოტის ოდენად არ სჩანს დემაგოგია, რომელსაც ახლა ასე მძლავრათ აქვს ფრთა გაშლილი. აქ ტროცკის უმთავრესათ და უპირველეს ყოვლისა სიძლიერის ცენტრი გადაადგილებულია დასავლეთ ევროპაში და ამყარებს რა მთელ თავის იმედებს მაზე, აშენებს თავის თეორიას. ტროცკი პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შესახებ რუსეთში, სხვათა შორის შემდეგს სწერს: „რუსეთის ბურჟუაზიული (და არა სოციალისტური, როგორც ახლა ამტკიცებენ. არ.—მ.) რევოლიუციის დროებითი კონიუნკტურის წყალობით, ჩვენმა პროლეტარიატმა რომ ჩაიგდოს ძალა-უფლება ხელში, მის წინააღმდეგ უპირველესათ ყოვლისა აღიმართება მსოფლიო რეაქცია მთელი თავისი სიძლიერით. და ყრდნობილი მარტო თავის ძალებზე, რუსეთის მუშათა კლასი აუცილებლივ დამარცხდება კონტრრევოლიისაგან სწორედ იმ დროს, **როცა რევოლიუციონური გლეხობა ჩამოშორდება მას“** (კურსივი ჩვენია). ამიტომ ტროცკის აზრით ერთათ ერთი ხსნა ევროპის პროლეტარიატის ამოძრავებაშია. იმან უნდა დაიწყოს სოციალისტური რევო-

---

***) კონიუნკტურა—მდგომარეობის სახე, საერთო მოხაზულობა.

ლიუცია და რუსეთიც გაჰყვება მას. წინააღმდეგი წარმოუდგენელი იყო. დღეს კი ჩამორჩენილი და ჯანგამოლეული რუსეთი იწყებს, ტროცკის და სხვათა თეორიით, სოციალისტურ რევოლიუციას და ევროპაც ბანს აძლევს. ამ წიგნში ტროცკი განაგრძობს: „პროლეტარულ მთავრობას რუსეთში არავითარი საშუალება არ ექნება განამტკიცოს თავისი ძალა-უფლება, თუ არ ეცდება გააფართოვოს ამ მთავრობის სოციალური ბაზისი დემოკრატიული კლასების მეოხებით“-ო. მაშასადამე, აქ აღიარებულია საჭიროება დემოკრატიულ და სოციალისტურ კლასთა და პარტიათა კოალიციის. დღეს კი, ამავე ტროცკის და მის ამხანაგთა წყალობით, რევოლიუციის სამუხანათოთ გაბატონებულია არსებითათ ერთი პარტია, ისიც არა მთლიანათ და ხიშტის ძალით, რომელსაც განუხორციელებელი და უნიადაგო მიზნები აქვს დასახული; ასეთი ტაქტიკა, როგორც ბლანკიზმის ტაქტიკა და, მაშასადამე, უტოპიურიც, რუსეთის დღევანდელი ეკონომიური და ინტელექტუალურ სინამდვილეში, არამც თუ სოციალიზმს ვერ დაამყარებს, თვით დემოკრატიზმის იდეასაც სახელს გაუტეხს და მხოლოდ უკან დასწევს. ახლანდელი „ბალშევიზმის“ ეს ტაქტიკა არის არსებითათ არა მეცნიერული და ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, მისგან ფაქტიურადაც პრინციპიალურათ გამიჯნული.

არ — მ.

კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

I **კოოპერაცია და მისი ფორმები.**

კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ქართულ პრესაში. ფედერალისტებმა იგი ჩასთვალეს, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დიდ ეკონომიურ და სოციალურ ძალთა, რომელმაც ჩვენ სოფელს უნდა ააცდინოს კაპიტალიზმი. დასელებმა კი იგი აღიარეს პალიატიურ ზომათ, რომელმაც დროებით უნდა დააყუჩოს დემოკრატიის ყოველდღიური ტკივილები. გაჩაღდა ომი, რომელიც დღესაც არ დამთავრებულა. ყოველივე მოვლენას მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოუტანოს საზოგადოებას რაიმე ღირსშესანიშნავი სარგებლობა, თუ იგი სწორად და მიუდგომლათ იქმნა შეფასებული. კოოპერაციის შეფასებას ფედერალისტთა მხრივ სწორეთ ეს მიუდგომლობა, ობიექტიობა აკლია: ფედერალისტებმა კოოპერაციას დააკისრეს არა ის როლი, რომელიც მას შეუძლიან შეასრულოს, არამედ ის, რაც თვითონ სურთ და სასარგებლოთ მიაჩნიათ. ამ რიგათ მათ აქაც, როგორც საზოგადოთ, გაამეფეს სენტიმენტალიზმი და შეტოპეს ეკონომიურ რომანტიზმში. ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ ამ უკანასკნელს და ობიექტიურათ გავაშუქოთ კოოპერაციის რაობა, მისი სახე-ხასიათი და დანიშნულება.

რა არის კოოპერაცია?

კოოპერაცია არის პიროვნებათა თავისუფალი კავშირი, ყველა წევრთა სრულ და სწორუფლებიანობაზედ დაფუძნებული, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციებს წარმოებასა, გაცვლა-გამოცვლასა და კრედიტის სფეროში და რომლის მიზანია ჩარჩ-ვაჭრის, მოვაჭრის, მექარხნის და სხვ. ყველფისაგან განთავისუფლებით გაადიდოს თავის წევრთა შრომის ნაყოფიერება,—შემოსავალი და ამრიგათ გაუადვილოს მათ ბრძოლა არსებობისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამხანაგობათა წმინდა შემოსავალი იყოფა წევრთა შორის პროპორციონალურათ (თანშეზომილათ) მათი შრომისა ე. ი. იმის და მიხედვით თუ ვინ რა მონაწილეობა მიიღო ამ საერთო საქმეში.

რა და რა ფორმებში ყალიბდება კოოპერაცია?

ფორმები, რომელშიაც ყალიბდება კოოპერაცია სრულიად დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიურ მდგომარეობაზე. ე. ი. მაზე, თუ რამდენათ განვითარებულ-გაუმჯობესებულია ამა თუ იმ საზოგადოებაში წარმოების ტეხნიკური საშუალებანი და როგორი ძალთა განწყობილებაა მასში.

თვითეული წარმოების წესი იმ პირთ, რომელნიც მასში იღებენ მონაწილეობას, შეუმუშავებს თავისებურ ეკონომიურ ფსიხიკას, რომელიც წარმოადგენს სუბიექტიურ მხარეს წარმოების ობიექტიურ პროცესისას; ფსიხიკა გამოიხატება იმაში, რ. მეურნეს აქვს თავისებური აზრი და შეხედულება ს კუთარ სამეურნეო მოქმედების პირობებზე, ეკონომიურ დამოკიდებულებაზე გარეშე პირებთან, ანუ თავის საკუთარ ეკონომიურ საჭიროება-ინტერესებზე და იმ საშუალებაზე, რომლითაც შეიძლება ამ

ინტერესების დაცვა. კოოპერაცია არის ერთი ფორმათაგანი იმ საშუალებათა, რომლითაც მეურნე იცავს თავის საკუთარ ეკონომიურ ინტერესებს. აქედან სხვა და სხვაობა ეკონომიური მდგომარეობისა, ჰქმნის მეურნეთა სხვა და სხვა გვარ ეკონომიურ ინტერესებს, და იწვევს კოოპერატიულ ფორმების სხვა და სხვა გვაროობას.

ამიტომ თვითეულ ეკონომიურ ფორმაციას აქვს თავისი საკუთარი ფორმები კოოპერაციისა და რამდენათაც უფრო რთულია ეკონომიური დამოკიდებულებანი ამა თუ იმ ფორმაციისა, იმდენათ რთული და მრავალფეროვანია მისი კოოპერატიული ფორმები.

ყველა ამას ნათლათ ამტკიცებს ისტორია კოოპერაციის წარმოშობისა.

შევეხოთ მას გაკვრით.

ეკონომიურ განვითარების ისეთ დაბალ საფეხურზე, როცა ყოველივე ოჯახი თავისივე ნაწარმოებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, კოოპერაციას ჩვენ ვერ ვხვდებით.

შემდეგ როცა მოთხოვნილებათა გაფართოება იძულებულს ხდის ოჯახს ნაწილი მოსახმარ და საწარმოო საგნებისა სხვებისაგან შეიძინოს და ნაწილიც თვითონ გასცეს, იწყება ემიგრაცია საგნებისა და მუშა ხელისა, რაც ნიადაგს უმზადებს კოოპერაციას. დახელოვნებული მუშები ადგენენ არტელებს, ადადიან ერთი ადგილიდან მეორეში, ამუშავებენ ნედლ მასალას, ეწევიან სხვა და სხვა მრეწველობას და სხვა. ასეთებია მაგ. არტელები: მატყლის მჩეჩლებისა, ბამბის გამჩიხრიხებელ-მპენტლებისა, დურგლების, მიწის მფარცხველების, მონადირეების, მეთევზეების და სხვ. ამ საფეხურზევე წარმოიშვენ, ეგრედ წოდებული, ნედლი მასალის არტელები. ასეთებია მაგ., არტელები მეყველეთა, რომლებსაც ჩენ ვხვდებით შვეიცარიაში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში*).

ხელოსნობას ახალი ფორმები კოოპერაციისა წარმოუშვია.

მაგრამ შემდეგ, როცა ბაზარი გაფართოვდა ხელოსნისა და მომხმარებლის შუა გაჩნდა ჩარჩი და ვაჭარი, წარმოიშვა ახალი ფორმები კოოპერაციისა, სახელდობრ: სამრეწველო, ნედლი მასალის, საწყობის, წვრილ კრედიტის და სხვ. ბოლოს ამას ზედ დაერთო მომხმარებელი კოოპერატივი. ესაა ხანა სავაჭრო კაპიტალისა. სამრეწველო კაპიტალმა მათ მიუმატა საწარმოვო კოოპერატივი—ქარხნის მუშათა შრომის არტელი. კითხვა დგება: ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები კოოპერაციისა: სამრეწველო, ნედლი მასალის, საწყობის, წვრილ კრედიტის, მომხმარებელი და სხვა რატომ მაინც და მაინც სავაჭრო კაპიტალის ბატონობის დროს წარმოიშვენ და არა ადრე თუნდ ხელოსნობის დროს?

— წინეთ მათთვის ეკონომიური ნიადაგი არ იყო მზათ!

ეს ფორმები კოოპერაციისა გულისხმობენ პირად დამოკიდებულებათა შეწყვეტას მწარმოებლის და მომხმარებლის შუა. ამ ფუნქციას უსათუოთ სხვა უნდა ასრულებდეს. ავიღოთ მაგ., მომხმარებელი კოოპერატივი, რომლის მიზანია ებრძოლოს ჩარჩ-ვაჭრებს და დაიცვას მომხმარებელი მათი ყვლეფისაგან.

როგორ შეიძლებოდა ვინმეს მოეფიქრებია მისი დაარსება სავაჭრო კაპიტალის ეპოქის ადრე, როდესაც ჩარჩ-ვაჭართა სახსენებელიც არ იყო და მომხმარებელი საჭირო საგნებს ყიდულობდა პირდაპირ მწარმოებლისაგან უშუამავლოთ.

დღეს ჩვენ, სამრეწველო კაპიტალის ეპოქის მცხოვრებთ, გვაქვს რამოდენიმე ფორმები კოოპერაციისა. მათში უმთავრესია: 1) წვრილ კრედიტის კოოპერაცია. მისი მიზანია მიაწოდოს მეურნეთ სესხი იაფათ, მინიმუმ სარგებელში (პროცენტი) და ამ რიგათ იხსნას იგი მოვახშის კლანჭებისაგან.

2) მომხმარებელი კოოპერატივი, რომლის უმთავრესი მიზანია მიაწოდოს თავის წევრებს საქონელი საუკეთესო ხარისხისა და რამდენათაც შეიძლება იაფათ. ამ მიზნით იგი იძენს საქონელს პირდაპირ კაპიტალისტ-მექარხნისაგან და აწვდის მომხმარებელთ. აქ ის კონკურენციას უწევს ჩარჩ-ვაჭრებს. ვინაიდან პირდაპირ ძაფს აბამს მწარმოებელსა (მექარხნე) და მომხმარებელს შუა.

3) მესამე უმთავრეს ფორმას კოოპერაციისას ეკუთვნის ეგრედ წოდებული საწარმოო კოოპერატივი, რომლის მიზანია მოაწყოს კოოპერატიულ ნიადაგზე მსხვილი ქარხნული წარმოება, გაუწიოს კონკურენცია კაპიტალისტს, დაამარცხოს იგი და

---

*) ვ. ფ. ტოტომიანცის მოწმობით ასეთი არტელები დღესაც ბევრია კავკასიაში, ერევნის გუბ. ბარატის მთის ძირის მცხოვრებთა შორის. იხ. „союзъ потребителей“ 1905 წ., № 4, გვ. 12.

ამხანაგებო!

დაეხმარეთ თქვენს ჟურნალს, როგორც მორალურათ, ისე მატერიალურათ.

ჩამოართვას მას ორგანიზატორის როლი წარმოებაში.

სხვა ფორმების დახასიათებას ჩვენ არ გაძოუდგებით, ვინაიდან ისინი დღეს მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ და ჩვენთვის იმდენი მნიშვნელობა არა აქვთ.

ს. მიხეილიძე.

„ახალი კვალის“ ამხანაგებს.

გილოცავ ახალ წელიწადს,
ძმებო, ჩაგრულთა შვილებო,
ცხოვრების სიდუხჭირეში
ნაწრთობნო, გამოზრდილებო;
„ახალი კვალის“ გარშემო
ბრძოლისთვის თავ-მოყრილებო;
მშრომელთა სამეფოსათვის
ყველა უტკბესზე ტკბილებო...
გისურვებ, მოგმატებოდეს
სხვაც ბევრი თქვენი ტოლები,
რომ შეჰქმნათ ძლიერი ჯაჭვი,
შეიქმნეთ მისი რგოლები.
და ყველა ერთათ, თანხმობით
ურთიერთისა ყოლაში
დაესწროთ მრავალ ტკბილ დღეებს
მომავლისათვის ბრძოლაში.

ჯიბილა.

კონფერენცია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

იანვრის 17 სათვის თფილისის კომიტეტი ახ. მარქს. ორგანიზაციისა იწვევს კონფერენციას ყველა ახალგაზრდა (თუ მოწაფეთა, როგორც აქამდის ყო) მარქსისტთა ორგანიზაციებისას. ნორმა ასეთია: 50 წევრი გზავნის ერთს დელეგატს; ორგანიზაციები, რომელშიაც 50 წევრზე ნაკლები არის— მაინც გზავნის ერთს დელეგატს (შენიშვნა: თუ საერთო რიცხვს 20 წევრზე მეტი გადარჩა, ეძლევა უფლება კიდევ ერთი დელეგატის გამოგზავნისა).

დელეგატები აღჭურვილნი უნდა იყვნენ სათანადო მანდატებით და დირექტივებით.

დღის წესრიგი: 1. მოხსენებები ადგილებიდან; 2. მომდინარე მომენტი; 3. ორგანიზაცია: ა) ახალგაზრდა მარქსისტთა თუ მოწაფეთა ორგანიზაცია? ბ) ფრაქციული თუ გაერთიანებული ორგანიზაცია? 4. წესდება; 5. მეცადინეობის გეგმა; 6. ცენტრალური ორგანო; 7. ფინანსები; 8. არჩევნები.

კონფერენცია გაიხსნება საღ. 5 საათ. დელეგატებმა ყოველგვარ ცნობებისათვის უნდა მიმართოს გოლოვინის პრ. № 12 („ახალი კვალი“-ს რედაქციაში) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ. მორიგ წევრს თფ. ორგან. კომიტეტისას.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი.

ყოველკვირეულ სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„ახალ კვალ“-ზე

წლიურათ ხელის მოწერა არ სწარმოებს. პროვინციელ ამხანაგებს გთხოვთ ჟურნალი შეიძინონ ადგილობრივ ახალგ. მარქს. ორგანიზაციებში; თუ ასეთი არ არსებობს, შეუძლიათ გამოიწერონ რამდენიმე ნომრობით.

რედაქცია „ახალი კვალი“-სა მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12. (ერთობის რედაქციის გვერდით) და გაღებულია ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირა-უქმე დღეს დილის 11—2 ს. აქვე შეიძლება ჟურნალის შეძენა.

ჩვენი ფოსტა:

1. პროვინციელ ორგანიზაციებს! გთხოვთ საჩქაროთ მოგვაწოდოთ ცნონები, რამდენი ჟურნალი არის საჭირო და სად; გთხოვთ აგრეთვე ჟურნალის ფულ[illegible] გავრცელების შემდეგ რაც შეიძლება ჩქარა გამოგზავნოთ, რათა გამოცემის საქმე არ შეფერხდეს.

2. ჩვენს თანამშრომლებს! მოგვაწოდეთ მასალებ[illegible]—სუფთათ და ცალ გვერდზე. დაწერილი. მოგვაწოდ[illegible] მოკლე კორესპონდენციები პროვინციელ ორგანიზაციებ[illegible] ცხოვრებიდან.

ჩვენი მისამართი: Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12, редакція „АХАЛИ КВАЛИ“. Тел. № 16-62.

აქვე მოთავსებულია ბიურო ახალგ. მარქსისტ[illegible] თფილისის ორგანიზაციისა; ღიაა იმავ საათებში; [illegible]ბა წევრებათ ჩაწერა.

რედაქტორ-გამომცემელი:
სარედაქციო კოლეგია

სტამბა ბართლომე კილაძისა, ველიამინოვის ქუჩა,

S 984,53
1918